გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2019-2020 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

1. პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:

ბოლნისში ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება

2. თემატიკა:

დასაქმების ხელშეწყობა, მუნიციპალური სტარტაპებისა და ინოვაციების მხარდაჭერა, მცირე ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა

3. პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი - დავით შერაზადიშვილი
ტელ: 577578585
ელ.ფოსტა: Bolnisimunicipality@bolnisi.gov.ge

4. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

ბოლნისის მუნიციპალიტეტი დიდწილად განიხილება, როგორც სასოფლო-სამეურნეო ზონა, სადაც მოსახლეობის უმეტესობა (დასაქმებულთა 63%) სოფლის მეურნეობის სექტორშია ჩართული: 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგეს 53 590-ს, რომელთა 74% ცხოვრობს სოფლად. ბოლნისის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატი იდეალურია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის და საშუალებას იძლევა წელიწადში ორ-სამჯერ მოსავლის მისაღებად. მიუხედავად ამისა, სუსტი ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის და მარკეტინგის ობიექტების არარსებობის გამო, აგროწარმოების პოტენციალი ეფექტურად და ეფექტიანად არ გამოიყენებოდა. ბოლნისში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ბარიერი გადამუშავების, უსაფრთხო და ცივი დასაწყობების ობიექტების ნაკლებობაა, რეგიონალურ ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, სუსტად განვითარებული ლოჯისტიკა / სატრანსპორტო ბიზნესი და არასაკმარისი მძიმე ინფრასტრუქტურა. ასევე, ბიზნეს

ადმინისტრირების საკითხების არასათანადო ცოდნა, არასაკმარისი თანამშრომლობა მცირე და საშუალო ბიზნესებს შორის და ფერმერული ქსელების არარსებობა იყო. ვინაიდან ქვემო ქართლის რეგიონის მასშტაბით, არ არსებობდა შეფუთვისა და დაფასოების ობიექტები, პროდუქტი საბოლოო სასაქონლო სახით არ იყო მიწოდებული მომხმარებლებისთვის. ადგილობრივად წარმოებული კულტურების მნიშვნელოვანი ნაწილი ნედლეულის სახით იყიდებოდა და მეზობელ რეგიონებში ხდება მათი დამუშავება ან დაფასოება, რაც პროდუქტის მაღალ ფასში გაყიდვის შესაძლებლობას იყო მოკლებული.

დასახელებული გამოწვევების საპასუხოდ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ბოლნისში ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება“ ფარგლებში შეიქმნა აგროცენტრი, რომელიც ადგილობრივ მეწარმეებს სთვაზობს მათზე მორგებულ კომპექსურ სერვისებს წარმოების ჯაჭვის განვითარებისთვის:

- თანამედროვე დანადგარების გამოყენებით, მუნიციპალიტეტში წარმოებული სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეფუთვასა და ეტიკეტირებას;
- ღვინის ჩამოსხმას ბოთლებში მობილური ხაზის საშუალებით;
- ადგილზე ქვევრიდან ღვინის გადაღებას, გაფილტვრას, შესაბამის ბოთლში ჩამოსხმასა და ეტიკეტირებას;
- რთველისთვის, ყურძნის შაქრიანობის გაზომვა, ტრანსპორტირება აგროცენტრის ავტომობილით, ყურძნის დაწურვა და შესაბამისი ჭურჭლის მომზადება.
- საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურებებას ფინანსებსა და ბუღალტერიაში, იურიდიულ და მარკეტინგის საკითხებში.
- ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვებში დახმარებას, სხვადასხვა გამოფენებისა და ფესტივალების ორგანიზებით.

აღნიშნულის გარდა, დაინტერესებულ პირებს აგროცენტრი აწვდის ინფორმაციას და ავითარებს ცოდნას, რომელიც საჭიროა პროფესიული განვითარებისთვის.

აგროცენტრის სერვისები შერჩეულია საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე. კვლევის დროს, კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო კლასტერული მიდგომა. აღნიშნულის გამოყენება ადგილობრივ დონეზე საქართველოში პირველად მოხდა. აგროცენტრის სამართლებრივი ფორმა, მისი სერვისები და სერვისის ფასები შერჩეულია პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის, ადგილობრივ მეწარმეებთან და ფერმერებთან კონსულტაციებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ბოლნისი პირველი მუნიციპალიტეტია საქართველოში, რომელიც ასეთ სერვისებს სთავაზობს მოსახლეობას, ფერმერებსა და მეწარმეებს. აგროცენტრი, დაინტერესებულ პირებს სერვისებს ქართული ენის გარდა სთავაზობს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ამისთვის, აგროცენტრში დასაქმებულები არიან ადგილობრივი აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდები.

5. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

ბოლნისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლში, საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 560 მ-ზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქალაქი ბოლნისი, დედაქალაქის მილიონიანი ბაზრიდან დაშორებულია 66 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ფართობია 804 კმ². მუნიციპალიტეტში შედის ერთი ქალაქი, ორი დაბა და 45 სოფელი. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 53590-ს შეადგენს, საიდანაც 50.02%-ს მამაკაცები, ხოლო 49,98%-ს ქალები შეადგენენ. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს სოფლად (74%). ბოლნისის მოსახლეობა მრავალეთნიკურია: ქართველებთან ერთად (31%), აქ ცხოვრობს აზერბაიჯანელების (63%) დიდი თემი. მოსახლეობის დანარჩენ 6%-ს წარმოადგენენ სომხები, რუსები, ბერძენი და ოსები. მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი 63%-ია.

ბოლნისი არის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო და სამთო-მოპოვებითი პროდუქციის წარმოების ბუნებრივი პირობებით, ისტორიული ძეგლებით და მრავალეთნიკური კულტურითა და ტრადიციებით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის წამყვანი ეკონომიკური დარგი წლიური ბრუნვისა და მოგების მიხედვით დამამუშავებელი მრეწველობაა, რომელიც წიაღისეულის მოპოვებას, მძიმე მრეწველობას, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოებას მოიცავს. ხოლო დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით მუნიციპალიტეტის მოწინავე დარგი სოფლის მეურნეობაა, სადაც დასაქმებულთა 68% არის ჩართული. ამასთან, ნაყოფიერი მიწები და ხელსაყრელი კლიმატური პირობები წელიწადში ორჯერ ან სამჯერ მოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რძის პროდუქტების გადამამუშავებელი 10 მცირე საწარმო, კვერცხისა და ხორცპროდუქტების 2 საშუალო ზომის საწარმო, რომლებიც ყოველწლიურად საშუალოდ 2 500 ტონა ყველს, 15 მილიონ კვერცხს, 200 ტონა ფრინველის ხორცს და ასეულობით ტონა ღორის ხორცს აწარმოებენ.

მეღვინეობა-მევენახეობა ბოლნისში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სწრაფად განვითარებადი დარგია. ბოლო 3 წლის ტენდენცია და ადგილობრივ მევენახეების კვლევა გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტს 30-მდე ახალი მარანი შეემატა. მეღვინეობის დარგის პოპულარიზაცია სხვადასხვა ფესტივალებში ადგილობრივი ღვინის წარმატებამ და პროდუქტზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია.

6. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:

- **შიდა ფაქტორები**

  აღსანიშნავია, რომ პროექტი ხორციელდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის

კოორდინაციითა და მერიის შესაბამისი განყოფილებების ჩართულობით. უშუალოდ აგროცენტრის ფუნქციების განსახორციელებლად კი ხელშეკრულების საფუველზე აყვანილ იქნა კვალიფიციური, ახალგაზრდა მოტივირებული კადრები. აგროცენტრის ფუნქციების განსახორციელებლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ტექნიკა აღჭურვილობების შესაძენად და ადამიანური რესურსების ასაყვანად, პროექტის ფარგლებში წინასწარ იყო გათვლილი ფინანსური რესურსები, რომელიც შედგებოდა ევროკავშირის მიერ ჩარიცხული გრანტისა და ადგილობრივი თანამონაწილეობისგან.

- **გარეშე ფაქტორები**

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“(M4EG) ფარგლებში. შესაბამისად, ინიციატივის სამდივნოს როლი და ადგილობრივი ექსპერტის მხარდაჭერა აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებაში იყო ძალიან დიდი.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი;**

N	**აქტივობა**	**თარიღი(თვე, წელი)**
1	ადგილობრივ კერძო და სამოქალაქო სექტორთან შეხვედრა. ადგილობრივი ეკონომიკური სიტუაციის განხილვა/ანალიზი	05.2017წ - 06.2017
2	პროექტის შედგენა	06.2017წ- 08.2017
3	პროექტის დაწყება	02.2018
4	დაინტერესებულ პირებთან და მიზნობრივ ჯგუფებთან შეხვედრა	02.2018-042018
5	ბოლნისისმუნიციპალიტეტისსაწარმოოპოტენციალის ადაადგილობრივიწარმოებულიპროდუქციისმიწოდება-მოთხოვნისშესაძლებლობებისდაპერიფერიულიმომხმარებლებისინტერესებისთაობაზე“ კვლევის ექსპერტების შერჩევა და კვლევისჩატარება	04.2018-10.2018
6	აგროცენტრის ფიზიკური ინფრასტუქტურის მოწყობა	11.2018-05.2019

7	აგროცენტრის ტექნიკა-დანადგარებისა და აღჭურვილობის შეძენა	11.2018-10.2020
8	აგროცენტრის ბიზნეს მოდელის ექსპერტების შერჩევა და ბიზნნეს მოდლის შემუშავება	07.2019-11.2019
9	აგროცენტრის თანამშროლების შერჩევა	11.2019-12.2019
10	აგროცენტრის ფუნქციონირების დაწყება და მომსახურების სერვისების შეთავაზე ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და მეწარმეებისთვის	01.2020-12.2020

- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, ინსტრუქციები).**
    1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საწარმოო პოტენციალისა და ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის მიწოდება-მოთხოვნის შესაძლებლობების და პერიფერიული მომხმარებლების ინტერესების თაობაზე“ კვლევის დოკუმენტი
    2. აგროცენტრის ბიზნეს მოდელი;

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**

აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ჩართული იყო პროექტის პარტნიორი ორგანიზაცია „რეგიონის განვითარების ცენტრი“. ასევე, ადგილობრივ კერძო და სამოქალაქო სექტორთან ერთად ჩართულები იყვნენ პროექტის ფარგლებში შერჩეული ექსპერტები.

პროექტის განხორციელებაში აქტიური ხელშემწყობი იყო ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნო და ინიციატივის ექსპერტი საქართველოსა და აზერბაიჯანში.

- **ინფორმაცია გამოყენებული რესურსის (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) შესახებ;**

პროექტის განხორციელებაში ჩართულები იყვნენ მერიის ეკონომიკის სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო, ინფრასტუქტურის, ადმინისტრაციული სამსახურები, მათი განყოფილებებლი და შესაბამისი თანამშრომლები. თუმცა პროექტის უშუალო კოორდნაციას მერთან შეთახმებით ახორციელებდა მერიის ეკონომიკის სამსახურის პროექტების მართვის განყოფილება.

გარდა ამისა, აგროცენტრის ფუქციების განსახორციელებლად ხელშეკრულების

საფუძველზე აყვანილ იქნება 11 თანამშრომელი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ქალები და ახალგაზრდები.

- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

პროექტის განხორციელებისას, ბოლნისის მუნიციპალიტეტი წააწყდა ისეთ პრობლემებს, რომელიც უკავშირდებოდა ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობის შეუთავსებლობას ძირითადად შესყიდვების მიმართულებით. თუმცა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის, ევროკავშირის წარმომადგენლობისა და შესყიდვების სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე გადაიჭრა აღნიშნული პრობლემები.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ჩართული იყო პროექტის პარტნიორი ორგანიზაცია „რეგიონის განვითარების ცენტრი“, რომელსაც ჰქონდა პროექტის ფარგლებში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები.

8. მიღწეული შედეგი:

პროექტის ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო აგროცენტრმა, რომელიც ადგილობრივ მეწარმეებსა და დაინტერესებულ პირებს აწვდის სხვადასხვა სახის მომსახურებას. აღნიშნული უკავშირდება მეწარმეების საინფორმაციო და ტექნიკურ დახმარებას, აგროღირებულებათა ჯაჭვის აგებას, მცირე და საშუალო მეწრმეების ბიზნეს ადმინისტრირების უნარების განვითარეას, გაყიდვების ხელშეწყობასა და შემოსავლების ზრდას.

აგროცენტრის სერვისებით 2020 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით ისარგებლა უამრავმა ბენეფიციარმა, მათ შორის მეღვინეებმა, ყველისა და ხილ-ბოსტნეულის მწარმოებლებმა და სხვა. აღსანიშნავია, რომ აგროცენტრის დახმარებით 70 ახალი მეღვინე გამოიკვეთა, რომელსაც სურვილი გაუჩნდა თავიანთი ღვინო ბოთლში ჩამოესხათ და ბრენდირებული სახით მიეწოდებინათ მომხმარებლებისთვის. საერთო ჯამში აგროცენტრის ღვინის გაფილტვრის და ჩამოსხმის მობილური სერვისით ისარგებმა 125-მა ბენეფიციარმა. გარდა ამისა, აგროცენტრის რთველის მომსახურების სრული პაკეტით ისარგებლა 30-მდე ბენეფიციარმა, რომლის ფარგლებშიც ჯამში 25 ტონა ყურძენი გადამუშავდა.

აღსანიშნავია, რომ აგროცენტრი მეწარმეებს ეხმარება სარეალიზაციო ბაზრების მოძიებაში, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივმა 30-მა საოჯახო მარანმა თავიანთი

ღვინოები გაიტანეს პოლონეთის ბაზარზე. აგროცენტრი მეწარმეებს ეხმარება იურიდიული, ფინანსური და მარკეტინგული კონსულტაციებით. ასევე, მეღვინებს უწევს ვაზის მოვლასა და ღვინის დაყენების ტექნოლოგიებში ექსპერტულ კონსულტაციებს, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივ მეღვინეებმა და ფერმერებმა მიიღეს საჭირო კონსულტაციები.

აგროცენტრი ეხმარება ადგილობრივ დამწყებ, მცირე და საშუალო მეწარმეებს, პროექტების მომზადებასა და ფინანსების მოძეიების მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც 10 ბენეფიციარს გაეწია დახმარება „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ბიზნეს იდეისა და ბიზნეს გეგმის მომზადების მიმართულებით.

ამრიგად, აღნიშნული პროექტი და აგროცენტრი ბოლნისის მუნიციპალიტეტის მეწარმეებს დაეხმარა ცოდნის მიცემაში, თავიანთი პროდუქციის შეფუთვასა და ბრენდირებაში, ახალი ბაზრების მოძიებასა და პროდუქტის პოპულარიზაციაში. აგროცენტრის სერვისების შეთავაზების ფონზე დამწყებ მეწარმეებს გაუჩნდათ სურვილი ახალი ბიზნესების დაწყებისა და არსებულის გაფართოების მიმართუებით. აღსანიშნავია, რომ აგროცენტრის სერვისებზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა. აგროცენტრის საკონსულტაციო სერვისებს ახორციელებს როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

აგროცენტრი, ბიზნესების მხარდასაჭერად, სამომავლოდ გეგმავს თავისი სერვისების გაფართოებას, ახალი პარტიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ქსელური კავშირების გაფართოებს.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

აღნიშნულმა პროექტმა, ბოლნისის მუნიციპალიტეტს მისცა დიდი გამოცდილება როგორც დონორებთან ურთიერთობის, ასევე კერძო და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. პროექტმა წარმოაჩინა მუნიციპალიტეტის როლი ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში, ბიზნესისა და მეწარმეების მხარდაჭერაში.

ბოლნისი პირველი მუნიციპალიტეტია საქართველოში, რომელიც ასეთ სერვისებს სთავაზობს მოსახლეობას, ფერმერებსა და მეწარმეებს. შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკის სხვა მუნიციპალიტეტებში წარმატებით დასანარგად მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში შესწავლილ იქნას არსებული სიტუაცია, კერძო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით მოხდეს იმ სერვისების გამოკვეთა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ფერმერების, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას. აუცილებელია, მუდმივი კავშირის შენარჩუნება კერძო სექტორთან, მათთან ერთად განხილვა ყველა გამოწვევისა და გადაჭრის გზებისა.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**

აღნიშნული პორექტის დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე ჩართული იყო საკრებულო. მუდმივი კომუნიკაცია მიმდინარეობდა საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის წევრებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**

ვინაიდან წარმოდგენილი საკონკურსო თემატიკიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტს თითოეულში საკმაოდ წარმატებული საქმიანობის გამოცდილება აქვს, საკრებულოს წევრებმა ინიციატივა საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში მონაწილეობის შესახებ მოიწონეს და „დასაქმების ხელშეწყობა, მუნიციპალური სტარტაპებისა და ინოვაციების მხარდაჭერა, მცირე ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა“ თემატიკა შეარჩიეს.

- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ საუკეთესო პრაქტიკის მიმართ;**

საკრებულოს ფრაქციები დადებითად აფასებენ პროექტის „ბოლნისში ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება“ განხორციელებასა და აგროცენტრის საქმიანობას, რომლის საშუალებითაც ბოლნისის მუნიციპალიტეტმა შექმნა ახალი ბიზნესის დაწყების, არსებული ბიზნესების გაფართოების, შემოსავლების გაზრდისა და ფერმერების ხელშეწყობის მექანიზმები, რომელიც არა მხოლოდ ბოლნისის მუნიციპალიტეში არამედ საქართველოს მასშტაბით წარმატებულ ინიციატივად არის მიჩნეული.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

ბოლნისის მუნიციპალიტეტი აღნიშნულ პროექტს სამომავლოდაც გაარძელებს და ადგილობრივ მეწარმეებს გაცილებით მეტ მხარდამჭერ სერვისს შესთავაზებს, რომელიც პოსტკოვიდურ სიტუაციიდან გამოსვლაშიც დაეხმარება მათ.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პროექტების
მართვის განყოფილების უფროსი - მერი აბრამიშვილი;
ტელ: (+995) 591 40 00 38;
E-mail: Meri.abramishvili@gmail.com

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საწარმოო პოტენციალისა და ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის მიწოდება-მოთხოვნის შესაძლებლობების და პერიფერიული მომხმარებლების ინტერესების თაობაზე“ კვლევის დოკუმენტი
2. აგროცენტრის ბიზნეს მოდელი;